



# მათრასი

## სახუმარო გაზეთი

### № 3

კვირა, 5 ოქტომბერი 1908 წ.



### გოდება რედაქტორისა.

ნეტა რა წყალში ჩავარდე,  
ველარ მოვსულღვარ გონშია,  
ჟურნალ-გაზეთის სახელი  
აღარ ჩანს ლექსიკონშია.

„ლობიოს“ ხომ ვერ დავარქმევ?  
„ბოლოკიც“ უხერხულია...  
არც „სახვი“ შეეფერება,  
სწორეთ გამისკდა გულია!!!

ძველათ.ეს საქმე სძინელო,  
არ გეჭონდა სადარდელათა:

შუბლზე თითს მიიბიჯებდი  
და გაჩნდებოდა ხელათა.

დღეს კი იცალო დროება,  
წაგვიხდა, გადასხვაფერდა,  
გაზეთებს მუსრი ევლება,  
მხოლოდ „ამირან“ დაბერდა.

ნეტა რა წყალში ჩავარდე  
ამ გასაჭირის მნახველი:  
გაზეთი მინდა გამოვცე,  
მაგრამ ვერ ვპოვე სახელი.

ოცნება! ფრთები<sup>\*</sup> შემასხი,  
 მასტუმრე უცხო მხარესა,  
 სადაც აღვილი არა აქვს  
 კენესას და სიმწუხარესა;  
 სადაცა შრომა ბატონობს,  
 თანასწორია სუყველა,  
 ერთი მეორეს არ ჩაგრავს,  
 სისხლს არ სწოვს როგორც წურბელა...

მსურს წუთით მაინც გავშორდე  
 ამ ბოროტების ზღუდესა,  
 ტანჯვა-წამების სამეფოს,  
 უსამართლობის ბუდესა  
 და იქ, იმ ტურფა მხარეში,  
 დავიცბრო გულის ტკივილი,  
 მივეცე ნეტარებასა,  
 შევწყვიტო კენესა, ჩივილი!..

გ. ჩახრუხაძე.

ცას ღრუბელი ჩამოსტირის,<sup>\*</sup>  
 ქარიც მოსთქვამს გლოვის ზარზე  
 ზღვის აგოდებს, ტყეს აკენებს,  
 რისხვით დაძრწის შთა და ბარზე.  
 ქეჩო აყრილ შთის ნაკადულს  
 გაშმაგებულ-განახელებს,  
 მიაქვს ხევი „ვაი-ვუით“,  
 გულს უზარებს მინდორ-ველებს.

სტირის ძეწნა და ტირიფი,  
 ალვის ხე სულ წელში ტყდება,  
 მხოლოდ მუხა სდგას ამაყათ  
 ოდნავათაც არ იხრება

რას უქვიან წელში მოხრა?  
 რას უქვიან ღრეკა ქედის?  
 მან არ იცის მტრის წინ შიში  
 და მოთმენა სიშავბედის!

მეც მსურს მუხას დავედარო,—  
 გასაქირს არ ვიფერებდე  
 და მტრის ძლიერ იერიშებს  
 სასახლოთ ვიგერებდე!

ნ. ზომლეთელი.



(გუძღენი ი. ჩ-ას)

შავ ფიქრთ გადვიყრი გულიდან,  
 მოვმართავ ჩანგის სიმებსა,  
 ზედ დავამღერებ, ჩაეაქსოვ  
 ცხოვრების ახალ ჰიმნებსა.

უკუღმართ ღმერთებს შევრისხავ,  
 შევძრავ ჯოჯოხეთს შავ-ბნელსა,  
 მოვთქვამ და მოვთქვამ მწარ ენით  
 ჩაგრულის ვარამ-ნაღველსა.

მოვთქვამ: „სიკვდილი თარეშობს,  
 სიცოცხლე მისგან მკვდარია,  
 არც ცრემლი შრება თვალეზზე  
 არც ველზე სისხლის ღვარია.

ყვავ-ყორანთ გუნდი გალალდა  
 დრო უღვათ ბედით მთვრალეებსა:  
 ბრძოლისა ველზე დაცემულთ  
 ჰკორტნიან ლამაზ თვალეებსა.

ატირდა მიწა სამშობლოც  
 იგლოვს თვის ნანატრ შვილებსა,  
 თავისუფლების მედროშეთ  
 ბრძოლაში გამოწრთენილებსა

იგლოვს და ცრემლიათ იღვევა  
 მწუხარე გული დედისა,  
 ცას კრულვას უძღენის მრისხანე,  
 მომდურავია ბედისა.

II

ძმავ-მეგობარო, ჩვენ ამ ხვედრს  
 აღრევე ველოდებოდით,  
 ვიცოდით ბევრი ჩვენგანი  
 ბრძოლაში დავეცემოდით.

ვიცოდით, თავისუფლება  
 მრავალ მსხვერპლს შეიწირავდა,  
 ცხოვრების მკაცრი ტალღები  
 ბევრ ჩვენგანს ჩაიძირავდა..

ვიცოდით დიახ, ვიცოდით  
 არ დაგვზოგავდა მტარვლი,  
 მტრის მუხანათი მახვილით  
 გაიგმიროდა მრავალი.

მაგრამ ჩვენ მაინც ვიბრძოდით  
 ხვედრი ვერ შეგვაშინებდა,  
 ვიცოდით მსხვერპლი მომავალს  
 ნიადაგს დაუშვადებდა.


ვიცოდით ჩვენი ყოყინი  
 იმოქმედებდა მძინარზე,  
 ძლიერ მბეუტავ, ობოლ ნაკვერცხალს  
 გააღვივებდა კერაზე.

და აჰა კიდევ აღსრულდა  
 გამართლდა ჩვენი ფიქრებიც:

ბევრია მსხვერპლი, მაგრამ  
ბევრი დაჰბადა გმირებიც...

შავ ფიქრთ გადაყური გულიდან,  
მოემართავ ჩანგის სიმებსა,  
უკუღმართ ღმერთებს შვევრისხავ,  
სალამს მიუძღენი გმირებსა.

ბ. ჩხიკვაძე.



### ბ ა ლ კ ა ნ ე თ ი

საერთაშორისო პოლიტიკური ეს შავი ღრუ-  
ბლებით შეიმოსა. ჰაერში თოფის წამლის და სის-  
ხლის სუნი ტრიალებს და სულ ადვილი მოსალო-  
დნელია ახლო მომავალში იქექოს საერთაშორისო  
ზარბაზნმა და მთელ ქვეყანას ამცნოს: „კმარა მშვი-  
დობიანობა, დროა ადამიანთა სისხლით მოირწყოს  
მინდორ-ველი და ხმალმა და ტყვიამ გადასჭრას ის  
მწვევე საკითხები, რომლებიც ევროპის სახელმწი-  
ფოებს ძილს უფრთხობს“.

ასეთია დღეს საერთაშორისო პოლიტიკის  
მდგომარეობა.

ოსმალეთში კონსტიტუციონურმა მოძრაობამ  
თავზარი დასცა მეზობელ სახელმწიფოების რეაქ-  
ციონურ პარტიებს. ოსმალეთის გამოღვიძება, ძვე-  
ლი რეჟიმის დამხობა და კონსტიტუციონურ წის-  
წყობილების შემოღება მეტათ ცივათ მოხდათ გუ-  
ლზე რეაქციონერებს და შესდგა უკვე შეთქმულო-  
ბა ხელი შეუშალონ ახალგაზდა ოსმალეთის განახ-  
ლებას. ავსტრო-უნგრეთმა გადალახა ბერლინის  
ტრაქტატი და ბოსნია-ჰერცეგოვინა თავის საკუ-  
რებათ აღიარა, ამავე მიზნით ბოლგარიის თავადმა  
ფერდინანდმა თავი მეფეთ გამოაცხადა და ბოლგა-  
რია დამოუკიდებელ სამეფოთ. ბერლინის ტრაქტა-  
ტის ძალით არც ერთს და არც მეორეს არავითა-  
რი უფლება არ ქონდა სხვა სახელმწიფოების და-  
უკითხავათ მოეხდინათ ასეთი მნიშვნელოვანი აქტი.  
ასეთ მოქმედებით ბოლგარეთმა და ავსტრო-უნგ-  
რეთმა დაარღვიეს ის პრინციპი, რომლითაც ორ-  
მოცდა ათის წლის განმავლობაში ხელმძღვანელობ-  
და ევროპის პოლიტიკა. ამ პრინციპით აღმოსავ-

ლეთის საკითხი ყველა უმთავრეს სახელმწიფოებს  
ერთათ უნდა გაერჩიათ. ხოლო ერთ სახელმწიფოს  
არას დროს უფლება არ ქონდა გადაექრა ეს სა-  
კითხი. უკეთეს ეს მოხდებოდა ამას ან ომი მოს-  
დევდა და ან საერთაშორისო კონფერენცია. დაი-  
რღვა ევროპის კონცერტი. ბერლინის ტრაქტატი  
მხოლოდ ნაგლეჯ ქალაღღზე დარჩა. ავსტრო-უნ-  
გრეთი ბევრს არას დაკარგავს ბერლინის ტრაქტა-  
ტის დარღვევით. მისთვის მხოლოდ საჭირო იყო  
მარჯვე დრო და აი კიდევ დაღვა ეს დრო. სანამ  
განახლებული ოსმალეთი გამაგრდებოდა მან ხელი-  
დან გამოგლიჯა ბოსნია-ჰერცეგოვინა. ასევე მო-  
იქცა ბოლგარეთიც. ამ მოულოდნელმა ამბებმა  
ძლიერი პროტესტი გამოიწვიეს როგორც ოსმა-  
ლეთში, ისე ბალკანეთის პატარა სახელმწიფოებში,  
ხალხი მეტათ აღელვებულია, მოითხოვენ ავსტრიის  
წინააღმდეგ გალაშქრებას. ბელგრადში ავსტრო-  
უნგრეთის საელჩოს წინ დიდებული მიტინგი მოხ-  
და. მიტინგს აუარებელი ხალხი დაესწრო. მიტინ-  
გის შემდეგ გაიმართა დემონსტრაცია. ხალხი ხმა  
მალდა მოითხოვდა დაუყონებლივ გამოეცხადოს  
ომი ავსტრო-უნგრეთს ბოსნია-ჰერცეგოვინას შე-  
ერთების გამო. ასეთივე რეზოლიუცია გამოიტანეს  
პეტერბურგში მცხოვრებ სერბიელებმა. თუმცა ავ-  
სტრიის მთავრობა ირწმუნება ბოსნია-ჰერცეგოვი-  
ნის შემოერთება ტერიტორიალურ შეძენის მიზნით  
არ მომხდარა, რომ ახლო მომავალში მათ სრულ  
ავტონომიას მიანიჭებს, მაგრამ ეს ვერ აკმაყოფი-  
ლებს სერბიის ხალხს. სერბიის ხალხი იარაღს ის-  
ხამს. ხმალს ღესს ავსტრო-უნგრეთი, ბოლგარია და  
ოსმალეთიც. ჯერ-ჯერჯერობით მხოლოდ დიდ-  
ბულათ სდუმან ძლიერი სახელმწიფოები. მხოლოდ  
როცა ბალკანეთის კუნძულზე ცეცხლი გაჩნდება  
მათი, წინდაწინვე მომზადებული, დამალული ხმა-  
ლი ჰაერში გაიკლვებს და თავისს გზას მონახავს. მო-  
სალოდნელ სამშვიდობო კონფერენციის წევრებს  
ზარბაზნების გრიალი დაუტკობს ყურთა სმენას.

### ო ს მ ა ლ ე თ ი

ავსტრო-უნგრეთის და ბოლგარიის მიერ ბერ-  
ლინის ტრაქტატის დარღვევამ სხვა სახელმწიფოებ-  
საც აუშალა საღერღელი ახალგაზდა ოსმალეთის  
წინააღმდეგ გასალაშქრებლათ, რომ საკბილო რა-  
მეს გამოჩნეს. კუნძულ კრიტის გოგებმა კრიტი  
საბერძნეთთან შეერთებულათ გამოაცხადეს. ეს არც  
ოსმალეთის მთავრობას გაუგია და არც საბერძნე-  
თისას. მხოლოდ ამ დღებში მოწვეულმა დეპუ-  
ტატთა პალატამ უკვე აღიარა კრიტი საბერძნეთთან

შეერთებულათ. რუსეთმა თავის მხრით ასეთი ულტიმატუმი წაუყენა ოსმალეთს: გახსენი დარდანელი ჩემი სამხედრო გემებისთვის და სრული გარანტია მომეცე, რომ კავკასია შენგან ხელუხლებელი იქნებაო. ამგვარათ განახლებულ ოსმალეთს დღეს საფრთხე მოელის. მომხდარი აქტები ფრიად ხელსაყრელია ოსმალეთის რეაქციონურ ელემენტებისთვის და კიდევაც თავი წამოყვეს, რომ გაილაშქრონ ახალი წეს-წყობილების წინააღმდეგ.

ოსმალეთში ავსტრო-უნგრეთის და ბოლგარიის წინააღმდეგ მღელვარება დღით დღე მატულობს. 25 სექტემბერს კონსტანტინოპოლში გაიმართა ილდიზ კიოსკის წინ დიდებული დემონსტრაცია. დემონსტრანტები მივიდნენ სამხედრო სამინისტროს შენობის წინ და დაიწყებთ მოითხოვდნენ ავსტრო-უნგრეთის წინააღმდეგ ომის გამოცხადებას, ხალხი ავსტრო-უნგრეთის და აგრეთვე გერმანიის წინააღმდეგ მეტათ აღელვებულია. წინა დღით თავი მოყარა 12 ათასმა ხოჯამ და ფიცი დასდეს მოითხოვონ ბოლგარეთთან ომი. სტამბოლის მიდამოებში მოწოდებები გააკრეს და მოუწოდებენ ხალხს იომონ ბოლგარეთის წინააღმდეგ: „ორმოცი ოსმალთი ერთი ბოლგარელის წინააღმდეგ“ ნათქვამია მოწოდებაში. ხოჯები მივიდნენ სულთანის სასახლესთან. სულთანმა სარკმელს მიადგა. ხოჯებმა განუცხადეს, რომ მზათ არიან წავიდნენ საომრათ. სულთანმა უბასუხა, რომ სანამ ის და მისი შვილები ცოცხალი იქნება, ყველა მისი ქვეშევრდომების უფლებები დაცულ იქნება. რადგან ოსმალები იარაღდებიან ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის საელჩოებმა ბრძანება გასცეს მზათ იყვენ არქიპელაგთან სამხედრო გემები.

სულთანმა აბდულჰამიდმა უარყო მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება სამი „არმისკი“ კორპუსის მობილიზაციის შესახებ. მიუხედავათ ამისა ექვს გარეშეა, რომ ოსმალეთში ჯარების მობილიზაცია უკვე დაიწყო. 25 სექტემბერს ბოსფორში შესვლა მოინდომა ბოლგარიის გემმა, რომელზედაც სამეფო დროშა იყო აღმართული, მაგრამ ხარბახნები ესროლეს და არ შეუშვეს.

### ს შ ა რ ს ე თ ი

მიუხედავათ ოსმალეთის უცაბედი განახლებებისა, მიუხედავათ მაროკოსა და ბალკანეთის ამბებისა, სპარსეთის რევოლიუცია და კერძოთ მისი მთავარი ბურჯი, თავრიზი, საყოფლთაო ყურადღებასა და თანაგრძნობას იპყრობს.

ასეთი თანაგრძნობა აიხსნება როგორც შახის მიერ ნაწარმოებ სასტიკი რეაქციით, აგრეთვე რევოლიუციონერთა თავგანწირული ბრძოლითა და სიმამაცით. ამ ბოლო ხანებში ბევრი ცვლილება მოხდა მებრძოლთა შორის და ერთ დროს საფუ-

ძლიანი შიში შახის ჯარების მიერ თავრიზის აღებისა, დღეს უსაფუძვლოთ შეიძლება ჩაითვალოს.

როგორც წინა წერილებში ვწერდით, თავრიზი ორ, რეაქციონურ და რევოლიუციონურ ბანაკებათ იყო გაყოფილი. რეაქციონერებს ეჭირათ სამი უბანი ქალაქისა: დავაჩი, სურგაბი და შიშკილანი. მთელ ქალაქს კი შახისა და მაქოელთა ჯარი ერთყა ეინ-ულ-დოულეს წინამძღოლობით. რამოდენიმე იერიშის შემდეგ მაქოელები შეიქრნენ თავრიზში და აიღეს ზოგიერთა პოზიციები რევოლიუციონერებისა. უმთავრესი მთვანეი აჯიჩაის ხასტავა კიდევაც შეინარჩუნეს, ხოლო დანარჩენები უკანვე დაიბრუნა სათარ-ხანის რაზმმა კავკასიელ ფიდაების თავგანწირული ბრძოლით.

დამარცხებით გაბრაზებული და თანაც უღისციბლინო შახის ჯარი ძარცვა-ვლეჯას მიეცა, რის გამო ქალაქში სანოვაგე ველარ შემოიტანეს და შიმშილი ჩამოვარდა. შიმშილთან გამირობა—ვაქაკობა ვერაფერს გააწყობს და მოსალოდნელი იყო სათარ-ხანის მომხრეებსა და თანაც მის მებრძოლ რაზმს საქმეს გაუჭირვებდა, მაგრამ ჯერჯერობით თავრიზის რევოლიუციონერთა სიზნევე ამით არ შეფერხებულია.

ამას მოყვა აგრეთვე ზოგიერთ პროვინციების აჯანყება შახის წინააღმდეგ და ხანების ხანებზე მისევა, რაიცა საქმეს გაართულებს. თავრიზის მაგალითის სხვა პროვინციის ქალაქებმაც მიბაძეს და აშუკრათ ამხედრდნენ მთავრობის წინააღმდეგ. შახის ჯარების მიერ სრულიად უდანაშაულო სოფლების აკლება, ბავშვებისა და ქალების გაუპატიურება ცეცხლზე ნავთს ასხამს და მშვიდობიან, მოშიშ სპარსელ გლეხობას აჯანყებისაკენ მიაქანებს.

ამ ბოლო დღეებში თავრიზის გამირობმა ბრწყინვალეთ გაიმარჯვეს და მთელი ქალაქი ხელში ჩაიგდეს. პირველათ სათარ-ხანის რაზმს დავაჩის უბანი დანებდა, ხოლო შემდეგ ორი დანარჩენი რევოლიუციონერებმა ხელში ჩაიგდეს მთელი იარაღები და რამოდენიმე ხარბახანი. ეს გამარჯვება რა თქმა უნდა, უფრო გაამხნევებს თავისუფლებისათვის მებრძოლთა რაზმებს და რევოლიუციის მვლელობაზე დიდ გავლენას მოახდენს. ამგვარათ დღეს მთელი თავრიზი სათარ-ხანის რაზმელთა ხელშია და განუწყვეტელი მუშაობით აგებენ ახალ სიმაგრეებს, მოსალოდნელი რევოლიუციის დროს ყველაფერია, მაგრამ ეინ-ულ-დოულეს ჯარისაგან თავრიზის სიმაგრეებზე იერიშის შიტანა ძლიერ საეკვივა. ეს მით უმეტეს, რომ თვით ჯარში და მის უფროსებში მუდმივი შუღლის გარდა, ზამთარიც მალე მოატანს. ეინ-ულ-დოულემ რამდენჯერმე ითხოვა თანამდებობიდან გასვლის ნებართვა, მაგრამ ჯერ სულ უარს ეუბნებოდნენ, მხოლოდ უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ეინ-ულ-დოულემ მთელი თავისი რაზმით უკვე გაემართა უკან თეირანისკენ. ცხადია, მან შესაძლოთ ვერა სცნო შახის ჯარების იერიშით თავრიზის სიმაგრეების აღება და მით რევოლიუციონერთა დამორჩილება.

ამასთანავე დეპეშათა სააგენტოს ცნობებით,

თითქო შეიწყნარეს ეინ-უდ-დოულეს თხოვნა და სამსახურიდან გადააყენეს, ხოლო მის ნაცვლად დანიშნეს ფერმან-ფერმა.

ენახოთ რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე.



ქესტვირული.

გულით გთხოვ ძაო ეშმაკო,  
რომ დღეს მათხოვო სტვირია,  
ნუ დაიშურებ გენაცვა,  
დღეს ჩემთვის ერთობ ძვირია.  
მსურს ავიწერო „კაკო“-ის  
ჩაპუდრულ ბაგეპირია  
და შევადარო ახოვანს,  
მოხუცი, ბერი სირია.

მეორე არის მოხუცი,  
განათლებლაზე მწყურალია,  
ქანქარის მოსიყვარულე  
„ნიშადურზედაც“ მყრალია.  
„ზუბრისა“ ჯიშისა ეკუთვნის  
იმათი მოდგმის გვარია  
ჩიბათი, ლესა, ჯუმათი  
სამწყესად მას აბარია.

ავსული ბაწარ ჩაბმული  
წინ უხტის—მაიმუნია,  
ისე სჩვევია სიყალბეს,

როგორც ბატონი გუნია,  
კარ და კარ დაყავს საწყალი,  
ცხოვრება მონაქამია,  
სარჩო სხვაც უნდა ზედ მეტი  
რას უზამს მარტო ქრთამია  
ძნელია მათი სტუმრობა,  
იმათი ენა შხამია  
და ყველა ისე გაურბის  
როგორც გველს, ჩემო ძამია.  
აწ ჩავუმდგროთ ქარქაშას  
გიორგი ტან-ახოვანსა,  
ნესტორ ჭყონიას გამურულს,  
ლიბიან, დიდ-მუცლიანსა.  
პირველის კანდილატები  
ეს ვაგბატონნი არიან,  
ენის სისინით საომრად  
მიდიან, მიუხარიან.

გავგვიბალურეს დიმიტრი  
მამასახლისი, ქეხული,  
ზედ მიაყოლეს მწერალი,  
ჯუმათში ყბა ახეული.  
ცოტა რამ უთხრათ გიგოსაც  
დუქნის ფულეები იმასქნა  
დანარჩენებზედ შემდეგში  
ჩავილიდინოთ ვინ რა-ქნა.

„სკენინა“

\* \* \*

(სპარს-ოსმალეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის გამო)

ცხორების დიად ტრაპეზზე  
ცეცხლი გუზგუზით ბრიალებს,  
სისხლით იცლებსა ზვარაკი  
და ტრაპეზის წინ ხრიალებს,  
მსხვერპლი მსხვერპლს მისდევს ურიცხვი  
შესაწირავი ტრიალებს,  
შორით კი მოსჩანს ცისკარი  
წითლად მოიალიცილებს!..

და ეს ხომ განთიადია  
ჩაგრულთა დღესასწაულის,  
ნიშანი თავისუფლების,  
დიადი კაცთ-სასწაულის,  
ცხოვრების ცის კიდესა რომ  
წითელ არშით გაუვლის,  
ტანჯულ ქვეყანას დაჭყურებს,  
იმედით ატკბობს და უვლის!..

ცეცხლი კი კვალად ტრაპეზზე  
ღვივის და წითლად ბრიალებს,  
წინ განმზადილი ზვარაკი  
სისხლით იცლებსა, ხრიალებს,  
მსხვერპლი მსხვერპლს მისდევს... ურიცხვი  
შესაწირავი ტრიალებს...  
მაგრამ ჰა, მალე „მზეც“ შეგების“  
დროშას ამოაფრიალებს!..

ნ. ზომლეთელი.

# ორი სურათი

(შვიი ქვას მრეწველთა საბჭოს ცხოვრებიდან)

სურათი პირველი.

(1905 წელი)

(მაგიდას უზის შუა ტანის, ქეზა, გვარანათ ჩასუქებული გვამი. სახეზე დიმიდი უკრთის, ტუჩები უთამაშებენ, უოველი მისი მოსრაობა და ხმა უველასადმა უსაზღვრო მატავისცემას და მორჩილებას გამოხატვენ. შუააზრდებულ თვალებს ღმარაკის დროს თითქოს ცრემლები ერევიან. ვადაცა კარებს არახუნებს, მჭდომარე გვამი წამსვე ციბრეტივით მოწუდება ადგილიდან და კარებთან მიიარბენს)

**გვამი.** მობრძანდით ბატონო ჩემო, მობრძანდით ბატონო ჩემო, მობრძანდით!.. სასიამოვნოა თქვენი ნახვა!..

**მთხოვნელი** (გააღებს კარებს და შემოვა ტანი-სამოსზე ეტყობა, რომ ის მუშაა. უბრალოთ აცვია, ხელები წელზე შემოუდგამს. იხდება თამამთ, აბიჯებს გაბედულათ) გვახლებით!.. სალამი!..

**გვამი.** (სიხარულით თითქო ფეხზე აღარა დგას; დიდის მოწიწებით ხელს ჩამოართმევს) იცოცხლეთ ამხანაგო, იცოცხლეთ! გაგიმარჯოსთ... დობრძანდით გენაცვალეთ!.. უკაცრავათ გახლავართ!.. თქვენი სახლია!..

**მთხოვნ.** არა უშავს. (ჯდება) ჩვენ მოვედით, რომ...

**გვამი.** (სიტყვას ჩამოართმევს) სხვა როგორ ვიკითხოთ, ხომ კარგათ ბრძანდებით?

**მთხოვნ.** ვმადლობთ, კარგად! ჰო, იმას მოგახსენებდით, რომ ჩვენ მოვედით...

**გვამი.** (კიდევ გააწყვეტინებს) აა, მაგაზე მერმე. ახლა მითხარით გუშინდელი მიტინგის ამბები... ხომ...

**მთხოვნ.** ოო, შესანიშნავათ ჩავატარეთ!.. მარა უკაცრავად, მეჩქარება და...

**გვამი.** დიდი ბოდიში, თუ დრო დავაკარგვინეთ! მე საზოგადოთ ასეთი ჩვეულება მაქვს. ყოველ შემთხვევაში უკაცრავად, დიდათ უკაცრავათ!.. მაშ ბრძანეთ!..

**მთხოვნ.** (ეტყვის რაც უნდა)

**გვამი.** დიდის კმაყოფილებით, რაც თქვენი სურვილი იყოს! მე თქვენი სურვილის წინ სხვა დროს როდის წავსულვარ, რომ ახლა წავიდე.

**მთხოვნ.** არა, თქვენ იცით...

**გვამი.** დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, განმეორებაც მეთია. ვისაყვედურებთ კიდევ, რომ ამ დრომდე არა სთქვით? ეს ოხერი, მეც არ ვამახსენდა, თორე უთქვენოთაც...

**მთხოვნ.** მაშ იმედი...  
**გვამი.** რალა თქმა უნდა!.. (მთხოვნელი დგება) რალა თქმა უნდა!.. რათ ჩქარობთ, დაბრძანდით. ნუ თუ გაწყენინეთ რამე?

**მთხოვნ.** რისთვის ბოდიშობთ? მე მხოლოთ მეჩქარება, მეტი არაფერი.

**გვამი.** თქვენ იცით! ჩვენთვის სასიამოვნო იქნებოდა, რომ მოგეცადათ!.. იმედია მაღიმალ მოგვინახულებთ...

**მთხოვნ.** (მიდის) ვეცდებით.

**გვამი.** (მივიარდება გამოსამშვიდობებლათ) აბა თქვენ იცით!..

სურათი მეორე.

(1908 წელი).

(იგივე გვამი ახლა უკმეხათ უზის მაგიდას, კალმის წრიზინ-წრიზინი ასონის უფრსც კი წვდება. სახე უსაზღვროთ გასერიოზებული აქვს. დინჯათ მოძრაობს, უველას მოკლე მსახეს აძლევს, აა სიტყვში ცხრას საშინელი მადლა ამბობს.

**იგივე გვამი.** რალაც კაკუნი ისმის!.. ფილიპე! ფილიპე (შემოდის მოხუცა) უდაკლადოთ აქ არავინ ვნახო... პირველ საათამდრან იცადონ! (მოხუცი ისევ გადის)

**მთხოვნ.** (რომელიც აგერ ორი დღეა გვამის ნახვას ელოდება) ბატონო თქვენი ჭირიმე!.. (გვამი ხმას არ იღებს, ზის და მკაცრის სახით სწერს). ბატონო!..

**იგივე გვამი.** ვინ შემოგიშვა?! რას გავს ეს! ფილიპე! (მოხუცი ისევ შემოდის) რას გავს ეს? რა გობრძანე მე?

**ფილიპე.** ბატონო პირველი საათია.

**იგივე გვამი.** არ არის.

**ფილიპე.** კი არის ბატონო...

**გვამი.** არ არის-მეთქი! მეორეთ არ მოგივიდეს, თორემ ან შენ და ან მე. (მთხოვნელს) რა გინდა შენ?

**მთხოვნ.** ბატონო, შენი ჭირიმე, მიშველეთ!..

**გვამი.** მალე თქვი ადამიანო! ნუ მაცდენ!

**მთხოვნ.** მე ბატონო დაზარალებული მუშა ვარ...

**გვამი.** მერე მე რა გიყო?

**მთხოვნ.** ფული... რო...

**გვამი.** რაო, ფული? იპ! მოდი მადაზე? „გვექნება მოგცემთ, არ გვექნება და არ მოგცემთ!“

**მთხოვნ.** ბატონო! ცოლშვილი შიმშილით მეხოცება, მე მუშაობა არ შემიძლია...

**გვამი.** ესეც მე ვიდარდო? ახლა წადი.

**მთხოვნ.** რამოდენიმე მანეთი მაინც...

**გვამი.** წადი ღვთის გულისათვის, მომშორდი; მიდი და გამრეკელს მოელაპარაკე...

**მთხოვნ.** ბატონო, გამრეკელმა ამოიღო ჩემი წელი—ეს სამი წელიწადია, მეტი არა ვარ, და-

მახრო. რაც მერგებოდა შუა გამიყო და ისიც  
ვერ ავიღე...

გვამი. მაშ მე რა ვუყო? წადი გამანებე თავი,  
მე შენსავით უსაქმო როდი ვარ...

მთხოვნ. ბატონო...

გვამი. მომცილდი-მეთქი; ფილიპე, გაიყვანე...  
(შეშინებული მთხოვნელი გადას).

სატანა.



ს ი მ ღ ე რ ა .

დიდი ვინმე არ გეგონოთ?

—მე მიწურში დავიბადე

კედლებათ და სახურავათ

ჩვენს სახლს ჰქონდა წკნელის ბადე.

შუა ადგილს ცეცხლი გვეთო

ლოგინებათ გვეწყო ქერი,

ორიოდე დოქი გვქონდა...

მორჩა... მეტი არაფერი.

როგორც შეენის ამგვარ ბინას,

დედაც მყავდა და მამაცა...

ფეხსაცმელათ მიწა გვქონდათ

და ქუდებათ კი მალა ცა.

ჩვენ გვიყვარდა: მღვდელი ბერი,

გვწამდა ხატი, გვწამდა ღმერთი

და ბედსა უმადური

არ ვყოფილვართ არცა ერთი.

დღე და ღამე ოფლს ვწურავდით

არ გვეთქმოდა სამღურავი,

მხოლოდ ეს კი ..სხვისთვის მშრომლებს

არ გვახსოვდა თავის თავი.

პირში წყალი დაგვეგუბა

ღმერთი იყო ჩვენთვის ყველა,

და ამგვართ წუთისოფელს

მივათრევდით ნელა-ნელა.

ეხლა მაინც გაიგებდით

ვინ ვყოფილვართ, ვისი შვილი?

ყველაფერი მოგიყვებით

დავივიწყე მე სირცხვილი..

ვ. მალაქიაშვილი.

მგოსანი უპრისიძების.

საფლავის კარად მისული  
უდროვოდ მოხუცებული,  
ნაღვლიანი ხმით მოსთქვამდა  
მგოსანი მირონცხებული:

„ვისაც ვუმღერდი—კვლავ სძინავს,  
სძინავს სატრფოსა გულისას,  
კვლავ ვისმენ კენესას იმისას,  
უზომოდ დაჩაგრულისას.

სულ მას ვუმღერდი, სულის სწორს,  
მის ვარსკვლავს მზეს და მთვარესა,  
ვუმღერდი თვალის წარმტაცსა  
ჩემსა სამშობლო მხარესა!

ხრიაკ მიდამოდ ვიწვევდი ბრძოლის  
ხმებს, ციურს წვიმასა  
და მხოლოდ, მხოლოდ დროებით  
ვაწყვეტინებდი გმინვასა.

დღეს ვხედავ—კვლავაც სწიწკნიან  
სულის სწორს დაუნდობელად,  
ყორნები, მოვლინებულნი  
იმის მტანჯველად, მგმობელათ...

იმას კვლავ სძინავს, მშობელსა,  
სძინავს სატრფოსა გულისას,  
ვერაინ ისმენს ურჩ ხმასა,  
უზომოდ დაჩაგრულისას...

გაქარწყულდა ყველა იმედი...

ბრძოლად მივიწვევ გმირებსა:

ნუ ივიწყებენ კუთხეებს,

მტრებისგან განაწირებსა...

სამარის კარად მისულის

ამას სწერს ჩემი კალამი:

ფრთა შეისხ შურისძიებავ;

„შურისძიებას სალამი!“.

საფლავის კარზე მდგომარე,

უდროვოდ მოხუცებული,

ასე მოსთქვამდა თვის ქნარზე

მგოსანი მირონცხებული,


პასუხათ მხოლოდ დუმილი,


სამარე უდროდ გათბრილი

და ძაძა ქვეყნის იმედზე

ჩაგრულთა გულში გაშლილი.

იასამანი.





შახი, ყოველ დღე მწერდენ სათარ-ხანი ტყვეთ წაიყვანეთო და შეხედე თავრიზი როგორ გაუმაგრებია?!

სწარსეთის შახი თავრიზს მიადგა.

სპარსთა მეუფე  
მაჰომედ-ალი,  
სათარ-ხანზედა უზომოთ მწყრალი,  
მერანზე კოხტათ  
შესკუბებული,  
თავრიზს მიადგა ვანრისებული.  
იმას არ სჯერა  
რომ ვილაყ ხანი  
მის ჯარებს უძლებს ამდენი ხანი  
და თვით ისურვა  
ირანის „გმირმა“  
(მეზობლისაგან თოფ დანაპირმა,)  
ერთი მაგარი  
შეცაცხანებით  
დაიმორჩილოს ძალით, ან ნებით.  
მაგრამ დახედეთ  
ამ ხათაბალას!!!  
შაჰი წააწყდა საშიშარ ძალას!  
კოშკებს მოუცავს  
თავრიზის ზღუდე  
და ზედ ზარბაზან გადმონაყუდე

თვალსა დაესო  
მწვავე ლახვარად,  
გულს მოველინა შიშისა ქარად.  
და „გმირი“ იმედ  
გაცრუებული,  
მრჩეველთა თვისგან მოტყუებული,  
ჩაფიქრდა რეთიც  
შესწევდა ძალი,  
მაგრამ ციხეზე გმირთა სარდალი,  
თავრიზის ლომი  
ამოიმართა  
და ალია შახს ასე მიმართა:  
„გასწი ძამია,  
თეირანისკენ  
განა არ გახსოვს რაყ იქ საქმე ჰქენ?  
მიდი და ჰკითხე  
მეჯლისის ნანგრევს:  
წითელი ფერი რისაგან აძევს?  
გაეხმაურე  
გადამწვარ სოფლებს,  
უმწეოთ დაყრილ ქვრივებს და ობლებს,  
მიდი, შეეხე  
იმ ჯაჰვ-მორკილებს  
ყელზე რომ აძევს მამულიშვილებს,



შეჭკითხე-თუნდა...  
 მაგრამ რის კითხვა  
 კარზე გაღვია დღეს ხალხის რისხვა.  
 გასწი, გაგვშორდი  
 ჯერ საქირო ხარ,  
 ზოგ შეუგნებლებს ჯერაც უყვარხარ“.

მობრუნდა შახი  
 და უკუ იქცა  
 არსება მისი დარღმა მოიცა.  
 მირბის, რომ კახაკს  
 ემთხვიოს ხელზე  
 და შეევაქროს ტყვიის მფრქვეველზე.



## ეშმაკი და ხოლერა

**ეშმაკი.** აი, ის პატარა მოედანი რუსების ბაზარია. შენთვის ის ყველაზე უფრო გამოსადეგი ალაგია. არც გვიან, არცა რწყავენ და ათასგვარ მყრალ საქონელსაც იქ ჰყიდიან.

**ხოლერა.** ეს კარგი, მაგრამ უფრო ბინძური უბანი ნუთუ აღარ მოიპოვება?

**ეშმაკი.** როგორ არა! მაგაზე უფრო ბინძურიც არის. აი მაგალითად რიყის ქუჩა, ან აბანოების მხარე, თუ გინდა იქ ჩაესახლე.

**ხოლერა.** არც მაგას უშუავეს რა, მაგრამ მაგათზე უფრო მყრალი ადგილი კიდევ ექნება შემონახული თქვენი ქალაქის მამებს.

**ეშმაკი.** დიხაც გვაქვს, მაგრამ ეს რა მიზეზიანი რამა ყოფილხარ? თუ ეგრეა დაიწყე ვერის ბოლოდან. იქ, სააზნაურო სკოლას ერთა დამპალი

ხევი ჩაუღის და ყოველგვარ სიბინძურეს იმაში ყრიან. ხევში წყალი მცირეა და ნაგავი ადგილობრივ იხრწნება.

**ხოლერა.** ძალიან კარგი, მაგრამ დაფიჯერო მაგაზე უარესი სიბინძურე სხვაგან არ მოიქებნება?

**ეშმაკი.** რას ამბობ ყმაწველო, უკეთესებიც მოგვეპოვება, მაგრამ ეს განაპირა უბნებშია. აი თუნდ ნაძალადევი, ავლაბარში და მთაწმინდაც ძლიერ შორს არის სიწმინდისაგან.

**ხოლერა.** მე კიდევ უკეთესი აღმოჩნდება მგონია. ვერ დაფიჯერებ შენ რასმე არ მიმაღავედე! აბა დაფიქრდი!!

**ეშმაკი.** რა ექნა ღმერთმანი, კაცო „საქართველოს“ რედაქციაში ხომ ვერ წაგიყვან და სხვა ამათზე უფრო ბინძური ადგილი აღარ მეგულებოდა.

**ხოლერა.** ჰოოო, აი ეს რალაცა ახალია და აღბაო კარგიც იქნება. მშვიდობით.

სცენა სცენასე.  
(რეგენზის მაგიერ).

(სცენა წარმოადგენს უბრალო ფიცრულ „ბალაგანს“ აგარაკ ბაზმარზე. კულისებში დიდი ღრიალი და ფაცი-ფუცია. სოფლიდან ამოსული სცენის მოყვარეები, ცნობილ ქუთათურ არტისტის მეთაურობით წარმოსადგენთ ემზადებიან. წარმოსადგენათ დანიშნულია „დამარცხებულნი“. თეატრში ძლიერი ხმაურობაა, პუბლიკას“ მოუთმენლობა ეტყობა, აქა-იქ ისმის „ერემა“-ს ძახილი. მხაურობა თანდათან ძლიერდება. კულისებშიც მოძრაობა მატულობს, არტისტები აქეთ-იქით დარბიან. გაისმის ზარის წყარუნი, „პუბლიკა“ თანდათან წყნარდება. ფარდა აიხდება. სცენაზე ზის ნატალია).

**ნატ.** (ეტყობა ძლიერ აღელვებულია). უჰ! რა ძვილია მოწყენილობა...

**ხმა კულისებიდან.** ხმა მადლა!

**ნატ.** (გაჯავრებით მიხედვას კულისებისკენ და გახანგრძობს ისევე ისე) ვფიქრობ და ვერ შიშობიანია...

**ხმა კულისებიდან.** ხმა მადლა! ხმა მადლა!

**ნატ.** (გაკანკანებული მივარდება კარებთან და უნდა გაიქცეს. კულისებიდან გზას უდობავენ და არ უშეკებენ). გასუფთოთ თორემ თავს დავანებებ (ბრუნდება ისევ სცენასე და განაგრძობს) ისეთი რამ, რომ გავერთო...

**სუფლიორი.** უველაფერი გამომიცდია.

**ნატ.** (თავს დახრის სუფლიორისკენ) აა?

**სუფლ.** უველაფერი გამომიცდია, მარა ჩემს გულს მაინც ვერ აკმაყოფილებს...

**ნატ.** უველაფერი გამომიცდია... (შეჩერდება).

**სუფლ.** (იატაკს ქვეშ იუურება და ფეხებს იქნევს). გამიშვი!

**ნატ.** გამიშვი!

**სუფლ.** (უვირის). ვაიმე!

**ნატ.** ვაიმე!

**სუფლ.** ვაიმე! მიშველეთ! (უცხად ამხტება ბუდიდან და დრიალით გარბის გარეთ ფეხ-შიშველი. ნატალია შეშინებული კუთხეში მოაქურტება. კულისების უველა კარებზე გავერვებული არტისტები მოადგებიან. „ხუზლიკა“ გავერვებულია, არ იცან რა მოხდა. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის სუფლიორი, ხელში ფეხ-საძმელი უჭირავს და ბოდიშს იხდის). უკან ვათ, ბატონებო, როცა ბუტაკში ვიჯექი იატაკს ქვეშ ვიღაცები შევმოძრენ. ვერ სანთელი წამართვეს, შემდეგ ფეხებში შეტენ და ფეხ-საძმელები წამოვადგეს, მართალია ბუდიდან არ უნდა ამოვსულიყავი, მარა ერთი ფეხ-საძმელის მეტი არაფერი გამაჩნია და რომ წაეღოთ დავიღუპებოდი. (ჩადის ბუდაში. საერთო სიცილი. შემოდის ნიკოლას დაქა).

**ნიკოლია** (უღვავებს იწვევრტავს, წელზე ხელები შემოუღვამს და სიამოვნებით იღიმება). რას ვგვიბრძანებ ქალბატონო?

**ნატ.** (შეუბღვერს და გაჯავრებული წავა მისკენ. ჩუმო ეურში უხურხულებს). გაგისქდა მიწა!

**ნიკოლია.** (გაკვირვებულა). რა ამზავია ქალბატონო?

**სუფლ.** (უვირის). გასუფთო! ნუ ჩხუბობთ!

**ნატ.** (სუფლიორს). აა?

**ნიკოლია.** (წელში ივრისება). სწორეთ ვერ გამოვიცა ქალბატონო რა ამზავია?

**ნატ.** (გაჯავრებით) წადი ბიჭო ქეთოს დამიძახე! (ნიკოლია გარბის. ნატალია გაჯავრებული ბოლოსას სცემს. შემოდის ქეთო. გაჯავრებული მივს და სკამზე ჩამოჯდება. ნატალიას და ქეთოს შორის განსაზღვრა დამარჯავი. „ხუზლიკა“ სულ-განსებული უვერს უგდებას. სუფლიორის რიხიანი ხმა ახლამხლო სხსულებშიც ესმით. შემოდის დავითი და ნატალიას გვერდით მოუჯდება).

**დავითი.** (თავისთვის, რიხიანათ). რომელებიც შე შემეკიდებიან... ნახეთ, ნახეთ! (შემოდის მიშა).

**მიშა.** მაშა, შე დღეს ერთი ქალი გავიცანი ისეთი ღამაზია ღამის „შხამით“ დავენე (საერთო სიცილია, „ხუზლიკა“ დღევას, ქანდარებსე მისდომი არტისტ-სტუდენტები დემონსტრაციულათ გარეთ გადაიან. სცენასე დიდი მოძრაობა და არვე-დარვევა, უველანი აქეთ-იქით დადიან და ხშირ-ხშირათ ერთმანეთს ეჯახებიან. შემოდის დირექტორი. აქლემივით მადლი, კისერი განსე მოუღერა, ცხვირსე სთავალები წამოუსუხუბებია და იცინის. მივს, აილებს ქეთოს სკამს და დავდება. უველანი დასხდებიან ქეთოს გარდა სცენასე სკამი ადარ არის. შემოდის ნიკოლია. კულისებიდან ერთ კარებში სკამს შემოდგამენ სცენასე. ნიკოლია ვერ ხედავს).

**ხმა კულისებიდან.** ნიკოლია! აიღე სკამი! (ნიკოლიას არ ესმის. აქეთ-იქით ისედა).

**ხმა კულისის.** აიღე სკამი! (კულისებიდან რამდე-ნიზე ხმა ისმის: სკამი აიღეთ).

**ნიკოლია.** (გივივით აქეთ-იქით თვალებს აბრიალებს. თავისთვის) თუ გამოვკედი დედას გიტირებ შე თქვენ.

**ხმა კულისის.** აიღე სკამი შე ვირის თათ!

**ნიკოლია.** (უცხად შეტება, მარჯვენას ფეხს ააშკერს და ისე გაფარდება კულისებში) გამიშვით! (ხალხში ხმა-ურობა და სიცილია. აქა-იქ ისმის ღამაზავი „ნიკოლია დადღს გავეიდა“-ო. სცენასე არტისტები უხურხულ მდგომარეობაში ცვივდებიან, ადარ იცან რა ქნან. მოქმედება, უფრო ძლიერი, გრძელდება კულისებში. ნიკოლია კარებში შეეფეთება ქუთათურ არტისტს და აშვერელ ფეხს მავრათ ჩასცემს მუკელებში. არტისტი შიშისა და ტვიფილისაგან უკან გადავარდება. ნიკოლიას ექეთ-იქიდას მისცვივდებიან და იჭკერენ. ის გაბრავებული უვირის „გამიშვითო“. ქუთათური არტისტი გონს მოდის და მიიწევს ნიკოლიასკენ. მას არ უშეკებენ. ის გაბრავებული გარბის კულისების შორე მხრისკენ, უცხად იხდის ტანსე და გარეთ გაჯავრდება. უნდა წავიდეს. მოქმედება გრძელდება ქუჩაში. ქუთათურ არტისტს გარს ეხვევან დახარჩუნება და ეხვეწებიან არ წავიდეს. ბოლოს არტის-

ტი თანხმდება და გულისებში შედის. მოქმედება კულისებში გრძელდება. ქუთათური არტისტი დადონებულის. უცბათ, საიდგანად შედისაჲთ მოძრაება ნიკოას და ბადის ისდის არტისტის წინაშე. არტისტი რეკლამურს იძრობს. გულგახეთქილი ნიკოას კისრის ტუხით გარბის. წარმოდგენა თავდება. საფხი დაიდათ ნასამოფნებია, მხოლოდ ვერ გამოუცვნიათ ნიკოას ძაღლს გამოუდგა თუ კატას).

დამარცხებული.



სათარხანის სიმღერა.

მულამ სიკვდილი, მხოლოთ სიკვდილი, აი რა გვესმის, რას ვხედავთ მარად: ხერცევენ, ახრჩობენ უკეთეს შვილებს, წამებულთ სისხლი იქცევა ღვარად!

აქ დედა მოსთქვამს, იქ ცოლი კენესის ცრემლი ცრემლს მოსდევს მიმქრალ თვალებზე... ოხ, მეგობარო, ამ გვარ სიცოცხლეს არ ჯობს რომ გაეწყდეთ ბარიკადებზე!!

მოდი, ავიღოთ ბასრი მახვილი, ვეკვეთოთ მტერებს, ჩვენს სისხლის მსმელებს და გავუგმვიოთ ბოროტი გული უსამართლობის მთესველებს! მცველებს!

დე, ფრთა გაშალოს შურის ძიებამ, სიკვდილმა სიკვდილს გასცეს პასუხი, დე დაიღვაროს სისხლის ნაკალი მებრძოლთ გვერდიდან ამონაქუჩი!

თავისუფლება სისხლის ზღვის გაღმა არის ტყვედ ქმნილი, ხელ-ფეხ შეკრული და კიდევ უნდა გავცუროთ იგი, თუ გვსურს, რომ ვიხსნათ სატროფო ტანჯული!

ჩანჩუხაძე

სცენა ვაზრის ცხოვრებიდან.

ეს ქვეყანა ხომ დიდხანია უშეშლია, მაგრამ ეს ჩვენი ბაზაზხანის ხალხიც რომ გადაირიფნენ ბიჭიან ხაზიენიანთა?! გავიხედავ, სად არის არმაკა კრებასე, სად არის გუერქა კრებაზე! ტო, უერუმსად ეს ბიჭები თუ დადიან იმათ სხვა საქმე შერებთან ონი ბუნტე დელაიუტე ნა ხავსინე, ა თუ ვაჩემე იდოშე ესლი ნი ჩესტი გოსპოლინე? მაგრამ იმათი ეშმაკობაც ვინც თუ რისთვის დადიან. ჩვენი ტერ-გუერქას მადღმა, რომ შეიდასი ხარ-კამბეჩი დაუბა მანინ ისინი ადგილი-

დან არ დაიძვრებან, მაგრამ ძალიან დიდი თვალები აქვს ამ ოხერ შიშსა და შიდას, მითომც შრიკაშიკებს დახანხოს, რომ ისინიც იმათ მხანაკები არიან. а на сцену посмотри да исеუთი გატენილები არიან ბიჭების ჭაფრით, როგორც ჭკვან ზოდოსს (თუ ბადეს რუმბ). მაგრამ შიშით უღაქუცებენ, კუდს უქაქვენ შრიკაშიკებს და ვინ იცის რას არ ეუბებიან სხვა ხაზიენებზე, რა არის გადაჭიკიდან ბიჭი და ხაზიენი. მაგრამ თითონვე სთებან ქვეუენის მასხრები. კაცო, შოკს რათ მივდივართ! აი გუშინწინ ნახადოვამი კრება იყო შრიკაშიკების და ეს ჩვენი მითომც და ბიჭების დიდი ერთგული ხაზიენებიც იქ წასულან. მეც ისე ნახანათ გავიარე. ცოტა! რ იყოს მოშორებით დავექვი, რვიცი კაცო, ერთი нечисти случаи არ მოხდეს და ვიციც გუბერნიაში არ მივრან მეტქი თავი. ჭერ კრება არ იყო დაწყობილი. ძალიან რომ დაფავირდი, შარიდან დაკინახე ეს ჩვენი გოგრაქამიანთ ავეტიქას შვილი სედრაკა, ვტოროი გიღდის კეპქე—ჩამდგარა შრიკაშიკების შუა სრავაში, და ერთი ისეთნირათ ამობს მარსელიცი სიმღერას, ისეთი შდის ხელებს, თითქოს ერთი იტადიანცი კაპდის მესიტარი იყოსო. ერთიც ვნახოთ, კამონს და ვიდაც წითელ სხაითანს და რომ დანახა ეს ჩვენი სედრაკა ჩახრისწული ხმით რომ მდეროდა რეკლამუცკი სიმღერას, მივარდა და კინადამ დახრჩობ: „какъ ви смеить, доворить, ви, нечисти человекъ, доворить, наши святой песнь поешъ, доворить, ви ранше очищайтъ, доворит, ваши грязни сосистъ, доворить и послы, доворить, приходи“. ამოჭკრეს ზანდური ამ ჩვენ სედრაკას და სედ ქუნძულით გამოაგდეს კუდ ამოქუბული. მე რომ ეს ამბავი დაკინახე ისეთი გამიხარდა, ისეთი გამიხარდა, თითქოს მამჩემი მირტორუს ამდგარაუოს საფაგადან. Такъ и нада тако изменикъ человеку! იმას ეგონა ბიჭებში საქმეს გავ კეთებო, ჩვენც გვიდაცა და ესხა იქიდანც გამოაგდეს! теперь чортусъ два ми его примимъ.

გ. ნუცუბიძე.



# ახალი ამბები

● როგორც ხმა დადის, ახლო მომავალში სტამბოლში და თეირანში გამოვა ახალი „ქართული გაზეთი“. ორივე ქალაქში რედაქტორათ „არტემიუს“-ს ნიშნავენ. თათრულ რედაქციებს ადგილობრივ ქართულ გაზეთების წმინდა მოგებიდან მისცემენ თანხას. „ამირანი“ პირდება თვეში 12000 მან., „ეკალი“ 10000, „ჩვენი კვალი“ 25000, ხოლო „საეპრო გზა“ ორ მილიონს.

● ქ. ბათუმში ამ დღეებში მოხდა ქალაქის ხმოსანთა არა ჩვეულებრივი კრება. კრებამ, როგორც ერთმა კაცმა, ერთხმით დაადგინა დაიქირაოს ქალაქმა თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებული 200 სტრაჟნიკი შანტაჟისტებთან საბრძოლველათ.

● ს. ჯვარცხმის (გურია) თავად, ვარლამ ერისთავს განუძრახავს თავის დანგრეული ოჯახის აღდგენა. სოფლელები სიხარულით შეეგებებიან ამ ფრიად სასიამოვნო ამბავს და აღუთქვამთ ვარლამისათვის 5,460 მან. დახმარება. სოფლელებმა დაადგინეს ეს ფულები სტრაჟნიკების ხელით გადასცენ ვარლამს.

● ოზურგეთიდან გვატყობინებენ, რომ იქ თურმე ძრიელ იავ ფასებში იყიდებიან, „ძველი თავის“ ასარჩევად, „ახალი ხმოსნები“.

● იქიდანვე: ადგილიდან დაითხოვეს ივანე ჯაყელი და დიდი „დიმიტრი“. პირველი—როგორც ქანქარის მოყვარული კაცი და მეორე,—როგორც მეტის-მეტათ ერთგული „მათრახოსანი“.

„არავინა გვყავს პატრონი!“  
 ბევრჯელ გვსმენია ყურითა.  
 და ესეც შენი პატრონი!  
 აფერუმ ჩემო ხოლერა,  
 სწორეთ მადლობის ღირსი ხარ  
 მართალი გითხრა ზოგჯერა!

იქ ჩნდები შენი ცოცხითა,  
 სად ნაგავს აყროლებულსა  
 ტახტი დაუდგამს ბინძური,  
 ხალხისგან მიეიწყებულსა,  
 გაუსვი, გაასუფთავე,  
 ადგილი გაფუჭებული,  
 დახოცე ჭია-ღუები,  
 ნაგავით გასუქებული!..

მ. ლელაშვილი.

## დაბა-სოფლები

**დ. სამტრედია.** როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, სამტრედიის სამკითხველოს გამგეები სამკითხველოს „სტორიუს“ ბიქტორ ხუჭუს ამ მოკლე ხანში ქუთაისში გზავნიან საექიმოთ. ამის მიზეზათ ვამგებები იმას ასახელებენ, რომ ნოქრების თხოვნა, რომელიც უფასოთ დასწერეს, ბიქტორმა თავის დაწერილათ აღიარა და ნოქრებს ორ-ორ კაპეიკობით მოკრებილი ქანქარი წითელ ნუნუაში და კამათლის თამაშში იმასქნა.

**იქიდანვე.** მოღვაწეთა რიცხვმა ძლიერ იმატა საზოგადოთ, და ამ შემთხვევაში არც ჩვენი დაბა ჩამორჩა სხვებს. ძლიერ ბევრია საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც თავიანთ უანგარო შრომას არ იშურებენ ტანჯულ ხალხისთვის, მაგრამ არავის აყვედრიან. ასეთია ნამწვრლვეი ვანო გრიგოლია (რივა), ვის მოუვიდოდა ფიქრათ თუ ვანო ასეთ შრიმას ეწეოდა, მაგრამ ოი საკვირველებავ! თვით ვანოს ბაგეთაგან წარმოიღინდა შემდეგი საისტორიო სიტყვები: „ბარე სამი „ცოციალისტი“ ყაზილარი შეგვზავნე ქუთაისის ვირის აბანოში“, „ო, რისაივისაც ვანო „პროვიტელსტენი სტარშინობას“ ითხოვს.

**სოფ. ჭავანი.** 8 სექტემბერს, ღვთის-მშობლის დღესასწაული მშვიდობიანად გათავდა. მლოცველებიც აუარებელი დაესწრო. ბოროტ ენებს მუდამ შურთ ასეთი ბედნიერება, და ვიღამაც ხმა გაავრცელა მამა სამსონ შენგელიას თავის უმცროს ვაჟთან რალაც დიდი ჩხუბი მოუვიდაო. სასოწარკვეთალებში ჩავარდნილი ხალხი მიცვინდა სამსონის ბინაზე. გამოიჩვენა, რომ სულ ცოტა „ნედორაზუმენიე“ მოსვლოდათ მამას და შვილს; შვილი ამტკიცებდა: „ზურნაზე ქეიფი სჯობიაო“. მამა-სამსონი მთელ მეცნიერებას იმოწმებდა, რომ არ



ხ მ ლ ე რ ა.

ხოლერამ წამოგვიარა,  
 შევწინდით დიდი პატარა:  
 „ხოლერით კაცი მოკვდაო“,  
 გაზეთში ისმის ჩქარ-ჩქარა.  
 კარგი, რომ დაიგვიანა,  
 თუ ადრე გაჩენილიყო,  
 მგონი თბილისში ცოცხალი  
 არავინ დარჩენილიყო!  
 მთელი ქალაქი, რომ ყარდა,  
 ნაგავით სიბინძურითა:

ღანზე ქეიფს, კარტის თამაშს და ქალგებთან დროს  
გატარებას არა სჯობია-რაო. აი ეს იყო და ეს.  
სათანა.

# დეკემბერი

**სუფსა.** დღემდე აქ სადგურზე ფოსტით მოსულ წერილებს ხალხი უფასოთ ღებულობდა:

დღეს კი სადგურს მოვევლინა  
უფროსათ ბაუშტინი,  
(ჩვეულებათ ქონებია  
ერთი უხეირო ყინი);  
წერილები დაგვიბაჟა  
(ეს არ არის გასაცინი),  
სამ-სამ კაპეიკს ღებულობს,  
რომ გამართოს ხშირათ ლხინი.

ამას კიდევ გაუსლებდით:  
ჯიბგირი გვყავს ნიკიფორე  
და თუ ვარჯხარ რედაქტორო,  
საქციელი გაუსწორე.  
სხვის ჯიბეში ხელგადაც ყოფს  
(უნდა მოგახსენო სწორე)  
იგი ამ ზნეს არ დაიშლის  
გინდა ათჯერ დაგორე.

ოლოლე.

**საყულია.** (ქუთ. მაზრა). ეს რამდენიმე თვეა  
სოფელს ჩააცივბია ქაქია (პარმენი) ნიჟარაძე „იარ-  
მუკა“ დაეარსე და იჯარით აიღეთო. რადგან  
უარი მიიღო ყველგან, მოხერხებით ტორღში ააღე-  
ბია ვილაც საჩინოელს 240 მანათში, რამელიც  
პატრონთან ერთათ წერილ მოვაქრეთ არ აქაქანებს  
სოფელში და გზაზე გავლისთვისაც ბაჟს მოითხოყს.

თა:ამაძე.

## გურიანთა.

ძმარ მათრახო? მაცნობე  
შენი ეშმაკი სად არი,  
განა არ იცი ციხისა  
რომ გაგვიძარცვეს საყდარი?!

მართლაცა და ერთობ ქანდრაკულათ არის  
ჩვენი საქმე. ნათქვამია: „როცა ღმერთი გწყალობს  
ხატები რაღას დაგაკლებენო“, მაგრამ ჩვენს სო-  
ფელს აღარც ღმერთი სწყალობს და მასთან მამა  
იესეც ანაფორ გაშლილი ფეხრთხება მძარცველებს.

პორფილემც მოძღვარს მიბაძა  
და შხამში ლესავს ენასა  
რომ არ ჩამორჩეს დაგეშილ  
გლახუნს და მაქსიმენასა.

ყოველ შემთხვევაში საქირია ამ ოთხ პირო-  
ვანი ერთ არსების ერთი ლაზათიანი ჩამათრახისკულ-  
ჩასპერმაკულინება.

კუჩხის-ჰინკა.

**ბათუმი.** ყველა ექიმები ქალაქიდან გავიდენ.  
შანტაისტებს გადაუწყვეტიათ ფერშლების მოტა-  
ცება დაიწყონ.


**ხილისთავი.** საგრძობლათ აცივდა. ხიდზე მო-  
სეირნეთა რიცხმა ძალიან იკლო. ქორიკანობა  
დღითი დღე იზრდება.

**ქუთაისი.** ქართული თეატრის სეზონი დაიწყო.  
წარმოდგენებს ხალხი ბლომათ აწყდება. შემოსავა-  
ლი 10—12 მანათამდე იქნება თითო წარმოდგე-  
ნებზე, რაიცა არტისტებს მხოლოდ ღენის ფასათ  
ყოფნით.

**სამტრედია.** სადგურის მოსამსახურეებს ჩქარა  
ჯამაგირებს დაურიგებენ. გიორგები, სერაპიონ და  
სხვები თითებს ილესავენ „საკარტოთ“ ვერ გავი-  
გეთ წინა ჯამაგირზე ვინ დარჩა წაგებული.

**ჩოხატაური.** აქ შესდგა შანტაისტ-ექსპროპრი-  
ტორთა ახალი ჯგუფი. განზრახულია ყველა ვაქ-  
რები მოიტაცონ.

**პეტერბურგი.** დუმის გახსნის მოახლოების ში-  
შით ხოლერამ შესამჩნევათ იკლო. უმთავრესათ  
პურიშკევიჩისა ეშინია.



წერილი რედაქციის მიმართ.

ოფშქეთელი მღვდელი რაედენ სანებლიძე გაექცა მის-  
განვე მოთხოვნილ სამედიკატორო სამართალს. მთელი ორი  
თვე ჩემი მედიკატორები მოითხოვენ მისგან მედიკატორის და-  
ნიშვნას, მარა არაფერი ეშველა. დღეს კორესპონდენტს გვერდს  
უვლის და „ეშმაკის მათრახის“ რედაქტორს იწვევს სამედიკა-  
ტორო სამართალში, რომ კორესპონდენტისგან მოცებული  
ჩირქი მოვიცილოვო. (შინაური საქმეები № 19). საკვირვე-  
ლია სწორეთ ამ პატივც. ზუცის ამბავი! თუ ჩირქის მო-  
ცილება უნდა ეს ზომ ადგილობრივთ უფრო მოხერხდება და  
რას მიცივებია რედაქციას. უკანასკნელათ მოვითხოვე მისგან,  
ნუ ედება დობე-ყოჩეს და დღეიდან ერთი კვირის განმავ-  
ლობაში ჩემ მედიკატორებს გააგებოს ვინაობა თავის მედიკა-  
ტორების და შედგეს სამართალი. წინააღმდეგ შემთხვევაში  
უფლება მექნება საქვეყნოთ უწოდო მას შესაფერი სახელი.  
პუჩია.

# სამი სურათი.

(სამათრახო სცენები სტუდენტთა ცხოვრებიდან)

(იხ. „მათრახი“ № 2)

## მეორე ოთახში.

**ბრიზა.** ოხ! როგორ უკან-უკან მიდის ჩემი საქმე! ერთი წელი გადის და არც ერთი ეგზამენი არ ჩამიბარებია!.. ან კი როგორ ვიმეცადინო, როცა ავი სენი და ყოველგვარი უბედურება მე მპირს? არა, რათ ლოთობო, მეტყვიან. სულელები მაშ რით გადავიყარო ეს ჯავი და სედა! (თმაში ხელს წაივლებს და იწყებს ოთახში ჩქარა სიარულს).

(შემოდის მართა, შემოაქვს ყავა).

**ბრიზა.** ახ, მართაჯან! სადა ხარ ამდენხანს! მოდი აქ ჩემთან!

**მართა.** რა გინდა?

**ბრიზა.** მოდი აქ მართაჯან, რაღაცას გეტყვი (მივა და ძალათ აკოცებს).

**მართა.** (გაუხსლტება ხელიდან) ხელი გამიშვი, თავი დამანებე.

**ბრიზა.** რა იყო მართა რათ მემღურო?

**მართა.** შენ წადი და იმით ეარშიყე, სადაც წუხელ ქეიფობდი!

**ბრიზა.** სად მიიწე?

**მართა.** სად? განა არ იცი! სად და „პატიოსან“ პო-სადში, იმ „პატიოსან“ ქალებთან, რომლებმაც წუხელ აქ მოიყვანეს.

**ბრიზა.** ახ მართაჯან თავი დაანებე მაგეებს, ყველა-ფერი ტყვილია (მოკიდებს ხელს და ძალათ უნდა აკოცოს, მართა გაუხსლტება და გარბის).

## პირველ ოთახში.

(აღღებულნი შემოდის სტეფანე და ნატაშა)

**ნატაშა.** (აღღებულნი და ტირილით) არა! მეტის მოთმენა შეუძლებელია! მოთხარი, მოთხარი, შემირთავ თუ არა! ამდენხანს მამიშენის სიკვდილს უტყდიდი, ის მიშლის ქალის შერთვას; მამა უკვე მოკვდა და ახლა მინც არ მირთავ, ვადა უნიე—ის გათავებამდის გადადვი. რათა მე მოვიტყენდი, მაგრამ ახლა ისეთ პირობებში არ შემიძლია... მშობლები მე მედავებოან; მოსვენებას არ მაძლევენ, ამხანა-გები დამცინი... თქვი ყველაფერი! ან კი და ან არა! და მა-შინ... მე ვიცი ჩემი საქმე... ხომ იცი რომ მძიმეთ ვარ... სანამდის გინდა ავრო მაწვალო, შენ რა გიზავს, ხოლო მე ვიკითხო! (ტირის).

**სტამუ.** თავი დაანებე სისულელეს! აბა, რა გატირებს! კიდევ ერთი წელი და შემდეგ შეიძლება...

**ნატ.** შეიძლება! ეს სიტყვა რას ნიშნავს!

**სტამუ.** ხო, ვინ იცის მანამდე იქნება ვერც ვიცოცხ-ლოთ!?

**ნატ.** ეს რას ნიშნავს?

**სტამუ.** ეხ, ნატაშა, თავი გაანებე მაგეებს... იცი რა, მე ამელამ სამშობლოში მივდივარ, ეს არის ფორტალიონი შემხება კარებზე, დედა ყოფილა უკიდურესი ავადმყოფი.

**ნატ.** (იკივლებს) აა! ვიცი რაშიაქ არის საქმე! ოხ, ღმერთო! მშვიდობით სტეფანე! (გადის ბარბაკით).

**სტამუ.** ოხ, ღმერთო! ეს რა... ხათაბალას გადავიციდი! (შემოდის მასპინძელი, ნატაშას მამა).

**სტამუ.** მობრძანდით, დაბრძანდით!

**მასპ.** (აღღებულნი) თქვენ, ბატონო სტეფანე ივა-ნიჩ! თქვენ შებილწეთ ჩემი ოჯახის პატიოსნება! თქვენ შე-აცდენთ ჩემი ქალიშვილი და ამ დღეებშივე თუ ჯვარი არ დაგიწერიათ მე ვიცი და თქვენ! გესმით თუ არა!

**სტამუ.** დაწყნარდით, დაწყნარდით მიხეილ რომანო-ზოვიჩი, რას ამბობთ, მე თქვენი ქალიშვილი არ ვიცი! მე მასთან თავის დღეში საქმე არ მქონია და არც მექნება.

**მასპ.** (შეაწყვეტინებს) რაო, რაო, შენ ვილაც პად-ლეცი ყოფილხარ და მეტიც! ფუი (აფურთხებს) შენს კაცო-ბას, შენს ნამუსს და შენს სტუდენტობას! (გადის).

(სტეფანე აღღებულნი ოთახში დადის ცოტა ხანს, შემდეგ ქუდს დაიხურავს და გადის).

## მეორე ოთახში.

(ეტლის მოახლოების ხმა, ისმის ხმაურობა მთვრა-ლების, ყვირილით შემოვარდება ხუთამდე მთვრალი სტუ-დენტი სავსე ბოთლებით).

**ხმები.** ახ, გრიზა! გრიზა! (გადაკოცნიან)... რა აღრე წამოდი კაცო წუხელ, ჩვენ აქამდის იქ ექეიფობთ, აბა და-ლოე, დალოე! (სვამენ, ყვირიან, იმღერიან).

**ბრიზა.** (აიღებს ჭიქით ლულს) ამხანაგებო! ძვირფასო სტუდენტებო და მეგობრებო! სწორეთ ახლა მინდოდა თქვე-ნი მოსვლა! უკაცრავად ვარ... მაგრამ, მე მწყურია.. მე მინდა თქვენ ჩემს საუკეთესო მეგობრებს... ჩემი წყლული და აღსარება გამოგიტყვათ... ისე რომა ოხრათ! გთხოვთ... ნება მომცეთ ლაპარაკის!..

**ხმები:** თქვი, გრიზა, თქვი! просимъ, просимъ!

**ბრიზა.** ამხანაგებო, ძმებო და მეგობრებო! რაიცა შეეხება იმასა რომა... ისე რომა... ოხრათ!.. მე ვადაკრულში ვარ, მაგრამ არ იფიქროთ რომ მესიყრება არ მქონდეს და ისე რომა... დიახ სწორეთ... მე ისეთ ხასიათზე ვარ... მე მწყურია შთელი სიცოცხლე ჩემი ცხოვრებისა აქ გადმოვა-ლაგო და გიამბოთ... მე... ავთმყოფი ვარ... ავთმყოფი სულთ და სხეულთ!.. მაგრამ ისე რომა... ამაში დამნაშავე არიან დღევანდელი საზოგადოება, ამ საზოგადოების წევრნი ჩემი მშობლები და აღმზრდელები ისე რომა... ოხრათ! ისე რომა ჩემი მშობლები და აღმზრდელები ე. ი. ის წრე, რომელშიაქ მე ვბრუნავდი და გამოვიდი! აი, ეს წრე... ბავშო-ბიდანვე მე შემაჩვიეს გარყენილებას...

**ხმები:** ეხ, კმარა, კმარა გრიზა, დავლიოთ (სვამენ) ბრავო, ბრავო გრიზა! просимъ, просимъ!

**ბრიზა.** ეი, ამხანაგებო, მეგობრებო! ეს ჩემი აღსარე-ბაა, ამასთანავე თქვენიც... რაიცა შეეხება ასეთ აღზრდის შედეგს ყველამ იციო!

**ხმები.** ბრავო, გრიზაჯან, კარგათ ილაპარაკე... დავ-ლიოთ და წავიდეთ სასიყრდნოთ, თორემ... წავიდეთ... წავი-დეთ... ბილიარდი ვითამაშოთ... ბანქო ვითამაშოთ... წავი-დეთ (სვამენ, იმღერიან, ხმაურობით გადიან).

## მესამე ოთახში.

(შემოდის ვანო).

**ვანო.** მე ვერაფერი ვიშოვე მშავო! მშავო უკიდურესათ! **პიტრძი.** აა, ბიჭო! პატარა ვიშოვე, კამე! (კმას და-ხარბებულნი).

**ვანო.** პეტრე იცი! უსათუოდ თუ ფული ვიშოვე მაკ-რატულს და სამართებელს ვიყიდი და საპარიკმახეროს გავი-ლები ფულს მოვიგებ.

**პიტრძი.** ფულს იშოვიდე თორემ პურს უწინ იყიდი! გესმის ხვალ ოთხ საათზე ფრაკის კრება ახალ მინისტრის ახალ ცირკულიარის გამო თავისუფალ მსმენელების შესახებ,

უსათუოდ მოდი... ზეგისთვის უსათუოდ სტუდენტების საერთო კრება უნდა მოვიწვიოთ...

**მანო.** კარგი, მოვალ! ახლა კი უნდა წავიდე, იცი, რა ცუდი გზა არის ჩემ ბინამდის? ვაი, თუ ხულოგანები დამიხვება გზაში. (წმეილობით)

**პეტრე.** მიდი ხო, თახ საათზე უნ—ში, გვმის?

**მანო.** კარგი, კარგი (მიდის) (პეტრე მოუჯდება სტოლს, ანთებს მბეჭუტავ ლამპას).

**მეორე ოთახში.**

(გრიზა დაბრუნდება, შევა ოთახში ანთებს ლამპას და წამოწვება).

**ბრიზა.** (დაიკენესებს, წამოვარდება ტახტიდან, თავზე ხელს მოიპერს) ოხ ღმერთო! რათ დამბადე, რათ გამაჩინე თუ ასეთი წვალება მომელოდა! ოოოხ (თმაში ხელს წაივლებს) ავი სენი! გაეწვალდი, ღმერთო! რა ექნა? თავი მოვიკლა? ოოხ, ეს რა ჯოჯოხეთური წვალება ყოფილა, ოოხ (თმებს იგლეჯს) დედა ჩემო, ავი სენი მკლავს, ავი სენი! (კენესით დაეშვება სტოლზე და ტირის).

**პირველ ოთახში.**

**სტეფ.** (აღვლებული შემორბის) არა! ახლავე ბარგი უნდა შეეკრა და წავიდე, შორს სხვა საუნივერსიტეტო ქალაქში! გადამკვიდრან ჯვარი დაწერეთ! ხა ხა ხა! ძალათ ჯვარის დაწერა ვის გაუგონია! არა, არ შემოძლია... არ მიყვარს და ვერც ვითხოვ... არც მზითვეი აქვს... არც ლამაზია... (საათს დახედავს)... სადაცაა მატარებელი წავა, მალე ბარგი უნდა მოეკრა... (აწყობს).

**მესამე ოთახში.**

(შემოდინან ბოჭული, ქანდარებები და პოლიციელები, პეტრე წამოვარდება)

**ბოჭული.** თქვენ, პეტრე ღარიბაშვილო, რადგან სტუდენტების კრებებზე ორატორობით და საიდუმლო ორგანიზაციის წევრი ხართ, უნდა გაგხრიკოთ და დაგაპატიმროთ! (თავისიანებს) აბა შეუდექით! (ჩხრკენ პეტრეს ოთახს, გარედან ისმის მუხურის ხმა: „მაგას, ფული მართებს ჩვენი“.)

**მეორე ოთახში.**

(შემორბიან მძვინკე ქალები ყვირილით, სიცილ ხმაურით და ცეკვა-სიმღერით).

**ხმები მათში.** (შემოხვევიან გრიზას, რომელიც სტოლზეა დაყრდნობილი) გრიზა ჯან! გრიზა! სად დავძინებია! სადა ხარ ამდენხანს.. გრიზა რათ არ მოდიხარ ამდენხანს ჩვენთან.. გრიზა!.. ეს რა ამბავია, ხმას რომ არ იღებს! (ჩახედვენ კარგათ) სტირის!.. ეს რა არის ხა, ხა, ხა, იცინიან) საყვარელს უღალატია... საყვარელს.. ხა-ხა-ხა (ხანგრძლივი სიცილი) გრიზაჯან! (ხელს კიდებენ) გილალატა საყვარელმა? ხა-ხა-ხა! იმიტომ არ დადიოდი ამ დაბოლოს ჩვენთან ისე ხშირათ?.. ხა-ხა-ხა!.. მაგრე გინდა, მაგრე... ხა-ხა-ხა... წავიყვანათ... წავიყვანათ... გაგამხიარულოთ... (ძალათ აცმევენ პალტოს, ქუდს ახურავენ და მიყავთ).

**პირველ ოთახში.**

**სტეფ.** ახლა, ყველაფერა მზათა მაქვს! (გილაც აკაჟუნებს) შემობრძანდით!

**ალექსი.** (აძლევს წერილს) ბატონო! ეს მასპინძლის ქალიშვილმა გამოგიგზავნათ! (მიდის)

**სტეფანე.** (ცახცახით ართმევს, ვახსნის, აკანკალებული ხმით კითხულობს) „სა...ყვარლო... ძვი...რფა...სო... ცხოვრე...ბაო, სტეფანე! მოვი...სმი...ნე დღეს შენი უკა-

ნასკნელი სიტყვები!.. გავიგე... გავიგე ყველაფერი... გავიგე დღეს მხოლოდ, თუ ვინც ყოფილხარ... შენ! შენ არ შეგწვევს იმდენი სინიღისი, შენ შეგიძლია მხოლოდ შეურაცყოფა, გლიდობა, ავახაკობა და კაცის მოკვლა... შენ მომკალი მე, შენ მოკალი ორი ადამიანი დედა და შვილი... ის შვილი, რომელიც მე... მე მყავს... მე კი ვასრულებ ჩემს სიტყვებს... უშენოთ მე ამას შემდეგ სიკოცხლე აღარ მინდა და ამ წერილის გამოგზავნისათავე მე... მი... ვლი...ვარ ამ...ქვეყნიდან... მშვი...დო...ბით... სტე...ფა...ნე! (სტეფ. ამოიოხრებს და დაეშვება ტახტზე) არა... უნდა წავიდე აქედან ჩქარა... ჩქარა... ჩუმათ... უნდა გავიპარო. ამას (ბარგზე ათითებს) ყველაფერს დაეტოვებ. ჯანდაბას და გავშვები ამ ქალაქიდან (სიჩქარით იცვამს ქუდს იხურავს, ჩემოდანი ხელით მიაკვს) სუუ... გავიპარები წავალ! (მიდის). (პოლიციელებს მიყავთ პეტრე).

სგ. კანდი.

\* \*

რაცა ცხოვრებამ ხელი შემიწყო დამშვიდებული ვცხოვრობდი წყნარად, ფეხზედ მეკიდა მშვიერთა გროვა მათი სიკოცხლე მიჩანდა არად;

როს ცხოვრებიდან გალადებული ვიციობდი მხოლოდ საკუთარ თავსა, ჩირად ვადგებდი გაჭივრებულებს რაც კი შემემლო ვაძრობდი ტყავსა!

მაგრამ დახე ბედს, საუბედუროდ მდგომარეობა გამომეცვალა, და ჩემ მყუდრო და მღორე ცხოვრებას ცოტა არ იყოს ფერი ეცვალა!!

დადგა დრო სრული გაკოტრებისა სიმშლიც ვიგრძენ სინამდვილეში, მაშინ დავრწმუნდი წარსულ ცხოვრებით ვყოფილვარ მხოლოდ დამპალს ლეში!


ვსთქვი: რათ ვერ ვიგრძენ სინამდვილეში წყურვილი ტირილ-გოდება ჩემებრ კაცების?... იმისთვის, რომ მათ ვერ შეისწავლეს ხრიკები ჩემებრ გლეჯვის, ტაცების?

მაშ რისთვის მძულდა მუშაკი ხალხი მეჯავრებოდა დანახვა მათი? გაუტანლობა მადლისგან მშვივის ყოფილა თურმე რჯული, ადათი!!

დღეიდან თქვენთან მშვიერო ძმებო, თქვენთან სიკოცხლე, თქვენთან სიკვდილი,

თქვენებრ უმწეოდ დავძრწი ქუჩაში გაღაბნედილი და ფერ-მიხილილი!! მაშ მეგობრებო თქვენს ქონში მეცა მრწამს რომ მით უფრო გამიღებთ კარებს! ვისაც სიმშლილი თვით არ უგრძენია, მშვიერებს იგი ვერ შეიყვარებს!!

ონა თლუფელი.



სულთანი სადილს იმზადებს.

### რედაქციისაგან.

„მათრასის“ რედაქცია ბოდის იხლის ხელის მომწერთა და მკითხველთა წინაშე დროებით გამოცემის შეტერებისათვის, თუმცა ამაში ბრალი რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზებსაც უძევს.

დღეიდან იმედი გვაქვს გაზეთის საქმე უფრო რეგულიარულათ იწარმოებს და ასეთ შემთხვევებს აღგილი აღარ ექნება.



გუბორი: დამპყობთ ვიანოლნივდა დავალით მიაღწევენთა და ყველგან თანავე იმედი სავსე იქნება დეკლარაცია.



დოის: ძვირფასო უვიტოს, მიიღო ჩემი სიკეთესი თქვენს კოლონელთაგან ჩემს წილსა.

ყოველ-კვირული სახუმარო შურნალი

## მათრასი

გამოდის ყოველ კვირაობით,

წელიწადში შურნალი ღირს 5 მან. წლის დამლევაზე 1 მან. 50 კ.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები უკანასკნელ გვერდზე სტრიქონი 20 კ.

ფული გამოიგზავნება შემდეგ ადრესზე: Ред. „Матрахи“ Теофили Ерастовичу Болквадзе.

რედაქტორ-გამომც. თ. ე. ბოლქვაძე.